„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“
ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: **ფილოლოგია**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი - **მალხაზ ჩოხარაძე**
1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება - **პროფესორი**
1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა
1	**მხატვრული ტექსტი და აფხაზ მუჰაჯირთა ცხოვრების ქრონიკები ბათუმიდან ადაფაზარამდე (ანზორ კუდბას მოთხრობა „გზა“)**	2025	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ,,კულტურათაშორისი დიალოგები“ შრომები, ტომი VIII https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/4198	ISSN 2667-999X E-ISSN 2233-3401 DOI: https://doi.org/10.52340/idw.2025.60	Erih Plus		
2	**ისპირის რაიონი (ისპირის ილჩე) თურქულ ვიკიპედიაში**	2025	ქართველური მემკვიდრეობა N XXIX, აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XIX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (ქუთაისური საუბრები) მასალები. *https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=29&lng=Ge*	ISSN 1512-0953 DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.24	Erih Plus	-	

3	**გურიის (ოზურგეთის) რაზმი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში**	2024	**წელიწდეული XVI** (ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა) **https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly/article/view/9388**	**ISSN 1987-9288 E-ISSN 27-8311 DOI: https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9388**	**Erih Plus**	ჯემალ კარალიძე	
4	**სახელმწიფო საზღვარი ჭოროხთან და საზღვრისპირა დასახლებათა ნარატივები მხატვრულ ლიტერატურასა და ზეპირ ისტორიებში**	2023	**ქართველური მემკვიდრეობა** N XXVII აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, **ქართ-ველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის** პერიოდუ-ლი (ყოველწლიური) ჟურნალი. *http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=27&lng=Ge*	https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.34 ISSN 1512-0953	**Erih Plus**	ნინო თურმანიძე	
5	**ფრიდონ ხალვაშის სამი სიმონეთი და რამდენიმე ფრაგმენტი საქართველოს ისტორიიდან**	2023	**წელიწდეული XV** (ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა) https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/516517	**ISSN 1987-9288 E-ISSN 27-8311 DOI: ttps://doi.org/10.61491/yk.15.2023.8068**	**Erih Plus**	მურმან გორგოშაძე	

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	**პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი**	**სტატუსი პროექტში**	**დამფინანსებელი ორგანიზაცია**	**ელექტრონული მისამართი**	**პროექტში ჩართული პირები**	**შენიშვნა**
1	1. **სპერი - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა**	2023 წ. 2026 წ.	ძირითადი პერსონალი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	https://www.bsu.edu.ge/sub-45/page/20599/index.html?lang=ge	მამია ფაღავა, რამაზ ხალვაში, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ მგელაძე, მერაბ ხალვაში, თემურ ტუნაძე, მარინა მჟავანაძე, გულ მუქერემ სეზგინი	

2	**მუჰაჯირობიდან მუჰაჯირობამდე** (აჭარაში დასახლებულ აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში და მუჰაჯირთა შთამომავლებთან აჭარაში მცხოვრები აფხაზების ურთიერთობის 21-ე საუკუნის რეალობა)	2022 წ. 2025 წ.	აკადემიური კონსულტანტი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	https://bsu.ge/sub-45/page/16211/index.html?lang=ge	ჯემალ კარალიძე, რევაზ დიასამიძე, ლილე თანდილავა, ნატალია ლაზბა, მურმან გორგოშაძე, მარიამ ჩოხარაძე, მანანა თავდგირიძე, მალხაზ ჩოხარაძე.	
3	**ტაო - (ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა**	2016 წ. 2019 წ.	კოორდინატორი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	https://bsu.ge/sub-45/page/14803/index.html?lang=ge	მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, რამაზ ხალვაში, თინა შიოშვილი, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ მგელაძე, მერაბ ხალვაში, ჯემალ კარალიძე, თამარ ჩოხარაძე.	
4	**მარადიდი**	2016 წ. 2019 წ.	მეცნიერ-ხელმძღვანელი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	https://bsu.ge/sub-45/page/14802/index.html?lang=ge	მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, ნათია ფარტენაძე, ზაზა შაშიკაძე, თამარ ჩოხარაძე.	
5	**აფხაზები აჭარაში**	2015 წ. 2018 წ.	სამეცნიერო კონსულტანტი	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	https://bsu.ge/sub-45/page/14804/index.html?lang=ge	ჯემალ კარალიძე, რევაზ დიასამიძე, ლილე თანდილავა, ნატალია ლაზბა, მურმან გორგოშაძე, მარიამ ჩოხარაძე, მანანა თავდგირიძე, ქეთევან შოთაძე, გიორგი მახარაშვილი, მარინა შალიკავა, გუგული კუკულაძე, მალხაზ ჩოხარაძე.	

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა
1	ბსუ	ქართული ლიტერატურის ისტორია	მანანა თავდგირიძე	მხატვრული აზროვნების განვითარება XX საუკუნის I ნახევრის აჭარაში	2013	
2	ბსუ	**ლიტერატურათმცოდნეობა**	მეჰმეთ ალი ქესქინი	**კულტურული მეხსიერების საკითხები ჭოროხის აუზის ზეპირსიტყვიერებაში**	2015	თანახელმძღვანელი, პროფ. თ. შიოშვილი
3	ბსუ	**ლიტერატურათმცოდნეობა**	ნატო ბერძული	**ნარატივის მხატვრული ფუნქცია თანამედროვე ქართულ პროზაში** *(აკა მორჩილაძის, დათო ტურაშვილის და კოტე ჯანდიერის შემოქმედება)*	2019	თანახელმძღვანელი, პროფ. ზ. კიკვიძე
4	ბსუ	**ლიტერატურათმცოდნეობა**	ნაირა ვარდმანიძე	**ქართველთა მუჰაჯირობა თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში**	2026	თანახელმძღვანელი, ასოც. პროფ, მ. ბალაძე **აპრობაციისთვის ნაშრომი წარდგენილი იქნება მიმ-დინარე სემესტრში - 2026 წლის ივლისში.**

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარებისთარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა
1	**ტრენინგი**	კვლევის მეთოდები მეცნიერებაში	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2023-10-27	თელავი	
2	**ტრენინგი**	პიროვნების ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის მეცნიერული ასპექტები	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2021-10-29	თელავი	
3	**ტრენინგი**	სასწავლო კურსის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2017-3/5-07	ბათუმი	

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

_**2024 წელი, 1-7 აგვისტო.** საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ენისა და კულტურის დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში“; **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ფრანკფურტის უნივერსიტეტი; დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია**.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა ჰუმანიტართა ახალგაზრდა თაობისათვის კულტურული მემკვიდრეობის – ენისა და კულტურის – ციფრული დოკუმენტირებისა და არქივირების თეორიული ცოდნის გადაცემას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინსტუმენტების ათვისებას აჭარის ლინგვოკულტუროლოგიური პორტრეტის შექმნაში სტუდენტების (ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების) ჩართვას. საზაფხულო სკოლის პროგრამა იყო ინტერდისციპლინური ხასიათისა და ითვალისწინებდა კომპლექსური ამოცანების გადაჭრას.

_____

2025 წელი, 1-7 აგვისტო. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ენისა და კულტურის დოკუმენტირება და არქივირება ციფრულ ეპოქაში“; **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ფრანკფურტის უნივერსიტეტი; დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია**.

საერთაშორისო საზაფხულო სკოლის პროგრამა დაიგეგმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ბლოკების სახით. პროგრამა ითვალისწინებდა, ასევე, მოპოვებული რესურსების დამუშავებისა და კვლევის შედეგების პრეზენტირების უნარ-ჩვევების დაუფლებას. (სასერტიფიკატო მოხსენებების მომზადება და წარმოდგენა სკოლის ფარგლებში მოპოვებული და დამუშავებული მასალის საფუძველზე).

2. **ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ** (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------

2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

2.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თრიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

3.1. კვლევითი პროექტის დასახელება -

4. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ და სალიტერატურო ცხოვრება 1960-იანი წლების აჭარაში

4.1. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

ჟურნალ ,,ლიტერატურული აჭარის” პირველი ნომერი გამოვიდა 1958 წელს, ბათუმში. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო. გამოცემის პროფილი განისაზღვრა როგორც ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოიცემოდა წელიწადში ექვსი ნომერი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ხარიტონ ახვლედიანი, ნანა გვარიშვილი, პარმენ ლორია, გიორგი სალუქვაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ფრიდონ ხალვაში. რედაქტორი 1967 წლამდე იყო შოთა ქურიძე. შემდეგ, ერთი წელი - ნანა გვარიშვილი (1967 წლის N 6 -დან 1968 წლის N 6-ის ჩათვლით). 1969 წლიდან ათი წლის განმავლობაში - აკაკი შონია. 1970 წლიდან ჟურნალს სახელი შეეცვალა და ეწოდა ,,ჭოროხი”. ამდენად, ,,ლიტერატურული აჭარის” გამოცემის წლებია 1958 – 1970.

ამ ხნის განმავლობაში ჟურნალში იბეჭდებოდა სხვადასხვა თაობის მწერალთა ტექსტები. მხედველობაში გვყავს ერთი მხრივ ომამდელი და ომისშემდგომი თაობა (ნ. მალაზონია, პ. რურუა, ა. შერვაშიძე, მ. ვარშანიძე, ნ. გვარიშვილი, ვ. კანდელაკი, კ. რუსიძე, ფრ. ხალვაში, ი. ფაღავა, გ. ლორთქიფანიძე, შ. როყვა, ჯ. ჯაყელი, ალ. ჩხაიძე. ი. რურუა, ქ. მჟავია, ი. მელია…), მეორე მხრივ ავტორები, რომლებიც 50-იანი წლების ბოლოს ან 60-იან წლებში გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე (ლ. სეიდიშვილი, გ. სალუქვაძე, ზ. გორგილაძე, რ. ართილაყვა, ნ. ჯალაღონია, ლ. გელაძე, ჯ. ქათამაძე, მ. გორგილაძე, გ. სანადირაძე, ალ. სამსონია, ს. ჟღენტი და სხ.).

აჭარაში მოღვაწე მწერლების, მათ შორის, „ლიტერატურული აჭარის“ ავტორების შემოქმედებას არაერთი ლიტერატურათმცოდნე შეჰხებია. მხედველობაში გვაქვს შოთა ქურიძის, იური ბიბილეიშვილის, თინა შიოშვილის, შორენა მახაჭაძის და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ღირებული ტექსტებია ლიტერატურული ეპოქის რამდენადმე მაინც სრულფასოვანი წარმოჩენისთვის. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, რომელშიც საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი 1960-იანი წლების აჭარის სალიტერატურო ცხოვრების სურათები, არ ყოფილა მონოგრაფიული კვლევის საგანი. შესაბამისად, ზემოხსენებული პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიის თუ მისი რომელიმე ნაწილის (ჩვენს შემთხვევაში - აჭარაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების) კვლევა გულისხმობს მნიშვნელოვან სიახლეებს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის გზაზე.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ მწერლობას მნიშვნელოვანი სიახლე დაეტყო. თანდათანობით აშკარად გამოიკვეთა ის ახალი გზები, რომლებმაც მალე განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა ჩვენი ლიტერატურის განვითარების ტენდენციათა ფორმირებაში. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1957 წელს ჟურნალ ,,ცისკრის“ დაარსება, ჟურნალის რედაქციამ ფართოდ გაუღო კარები არაერთ ავტორს.

აღნიშნული ვითარების ერთგვარი გამოძახილი იყო ბათუმში ,,ლიტერატურული აჭარის” გამოცემა. ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი ავტორები ცდილობდნენ, ფეხი აეწყოთ განვითარების ტენდენციისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ჟურნალში ჩანს მკაფიოდ თაობათა ლიტერატურული საქმიანობა და შესაბამისად, აჭარაში, ბათუმში მცხოვრებ „სამოციანელთა“ ლიტერატურული პროდუქციის თავისებურებანი. ჟურნალში დაბეჭდილი პოეტური თუ პროზაული ტექსტები, სალიტერატურო კრიტიკა... მკაფიოდ წარმოაჩენს 60-იანი წლების აჭარის ლიტერატურულ სახეს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია თემის აქტუალურობაზე საუბრისას. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ ერთი, რეგიონში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კვლევა აქტუალურია საზოგადოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მეორეც,

ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში, მნიშვნელოვანია გასული საუკუნის ლიტერატურული მემკვიდრეობის არაერთი ასპექტის ხელახალი გააზრება, განსჯა... რათა სრულყოფილად წარმოჩნდეს უახლესი წარსულის მწერლობისთვის დამახასიათებელი ღირსებები თუ ნაკლოვანებები, მისი პრობლემატიკა.

თემას აქტუალურობას მატებს ისიც, რომ რეგიონის ისტორიის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, XX საუკუნის დასაწყისის აჭარაში, სამსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ არსებითად ხელახლა იწყება ქართული მხატვრული სიტყვის აღორძინება და განვითარება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, და განსაკუთრებთ, 60-იანი წლები, არსებითად განვითარების პროცესის ახალი ეტაპია. ეტაპი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა რეგიონის მწერლობის საზოგადო სახე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

ამდენად, პრობლემა დიახაც აქტუალურია და გულმოდგინე კვლევას საჭიროებს. მისი სათანადო დამუშავებით, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა გამდიდრდება საინტერესო მონოგრაფიით.

4.2. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესებზე დაკვირვება ერთიანი და მრავალმხრივი ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილი შესწავლის ერთ-ერთი საფუძველია. წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს სწორედ, ქართული ლიტერატურის ისტორიის, საზოგადოდ, მხატვრული აზროვნების, მრავალასპექტიან კვლევას, XX საუკუნის II ნახევრის, კერძოდ, 60-იანი წლების აჭარაში მოღვაწე მწერლების შემოქმედების და რეგიონში მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შესწავლას.

ღირებულებათა გადაფასების პოსტსაბჭოთა ეპოქის თავისებურებანი მოიცავდა და მოიცავს ლიტერატურული ეპოქების თავისებურებათა კვლევის არაერთ ასპექტს. საანალიზო პერიოდში ეპოქის სახეს, უპირველესად, ქმნიდა ლიტერატურულ პროცესებზე პოლიტიკური სისტემის დიქტატი. პოლიტიკური სისტემის უპირობო მოთხოვნით ლიტერატურა საბჭოთა რეჟიმის ინტერესებისა და იდეოლოგიის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ კვლევის მიზნებსა და ამოცანათა შორის მოვიაზრებთ მხატვრული თუ კრიტიკული ტექსტების იდეოლოგიურ თუ საპროპაგანდო შრეებსაც. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ამ შრეთა მიღმაც მკვლევარისთვის ბევრი რამ იქნება საყურადღებო.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განისაზღვრება მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომას. კერძოდ, კვლევის პროცესში, ცალკეული ავტორების, ასევე კონკრეტული თემატური რკალების გაანალიზების დროს, გამოყენებული იქნება ისტორიზმის, კრიტიკულ-ანალიტიკური, კომპარატივისტული, სტრუქტურალისტული და სხვა მეთოდები. ცხადია, სათანადოდ შესწავლილი იქნება საკვლევი საკითხების შესახებ არსებული ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი *9.03.2026 წ.*